ბოლო რეპეტიცია

თბილისის `დინამო" - ლენინგრადის `ზენიტი"

ლენინგრადის "ზენიტის" ფეხბურთელებთან საკონტროლო მატჩში თბილისის დინამოელთა შემადგენლობაში თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის სამივე წევრი, რომლებიც სულ ახლახან ჩამოვიდნენ თავიანთ ქალაქში. ამის შედეგად თბილისელთა კოლქტივი, როგორც იქნა, გამოვიდა საწვრთნელ თამაშზე ისეთი სახით, რომლითაც მას, ალბათ, მოუწევს ჩემპიონატის კალენდარული მატჩების უმეტესობის ჩატარება.

შეიძლება გუშინდელმა მატჩმა, უფრო სწორად, მისმა სანახაობითმა მხარემ ვერ მოახდინა სათანადო ეფექტი მაყურებლებზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო მხოლოდ საწვრთნელი თამაში და მას გარკვეული ამოცანები ჰქონდა დასახული. მთელ რიგ მომენტებში იგრძნობოდა ჩემპიონის ხელწერა.

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია – 0:0.

შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა მაისურაძემ, ხოლო შემდეგ მეტრეველი–გ. სიჭინავა–დათუნაშვილის ძალიან ლამაზი კომბინაცია მეორე გოლით დაგვირგვინდა.

73–ე წუთზე "ზენიტის" მარცხენა გარემარბმა კროტკოვმა უძლიერესი დარტყმით გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ მატჩის დასასრულს მეტრეველმა მეტოქის კარში გაიტანა მესამე გოლი – 3:1.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა (პეტრიაშვილი), რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია (მაისურაძე), მეტრეველი, მესხი.

დინამოელებმა მოიგეს დუბლიორთა მატჩიც – 2:0.

10 აპრილი, 1965 წ.